ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2729699

ნომერი: AR1415891

თარიღი : 06.07.2016

გაცემის თარიღი : 21.07.2016

გაცნობის თარიღი : 21.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა , პავლე ინგოროყვა , N 17 , / 9 აპრილის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით ლოსაბერიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ლ.ლ. და კომპანია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202333224

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404857339
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ბრეგაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60002017504

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №1387128
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 18.07.2014

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1387128
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.06.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 06/07/2016 წლის AR1415891 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1387128 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი ნებართვა და სანებართვო მოწმობის გაცემის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1387128 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), 9 აპრილის ქ. N3/ჩიტაძის ქ. N5/ინგოროყვას ქ. N17/ინგორყვას ქ N19–ის მიმდებარედ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელსაც ვადა განესაზღვრა “2014 წლის 24 ივლისიდან 2015 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.“
ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1387128 ბრძანების მე-5 პუნქტით განისაზღვრა: ‘’განემარტოს დამკვეთს, რომ იგი ვალდებულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის, რომელიც დანართის სახით წარმოადგენს ამ ბრძანების განუყოფელ ნაწილს, გადახდა განახორციელოს მის მიერ წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად, შენობის ექსპლოატაციაში მიღებამდე – 2015 წლის 1 იანვრამდე’’; ამავე ბრძანების მე-6 პუნქტით განისაზღვრა: ‘’ამ ბრძანების მე–5 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და წინამდებარე ბრძანება ჩაითვალოს ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლის დღიდან“.
საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ დამკვეთის მიერ არ იქნა შესრულებული ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1387128 ბრძანებით განსაზღვრული ვალდებულებები. შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1387128 ბრძანების მე-6 პუნქტით ბრძანება №1387128 ჩაითვალა ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლის დღიდან.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1387128 ბრძანება კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ძალადაკარგულია, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს 2014 წლის 18 ივლისის №1387128 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის საკითხზე,

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.